საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უფლებადამცველთა დაცულობის უზრუნველსაყოფად, მიმართავენ შემდეგ ღონისძიებებს:

- <u>დასაშვებობისა და რეაგირების დეპარტამენტი და საქმისწარმოების სამმართველო</u>
  - ✓ უზრუნველყოფენ უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ აპარატის თანამშრომელთა მიერ რეგისტრირებული ოქმებისა და შემოსული განცხადებების/საჩივრებისთვის საიდენტიფიკაციო აღნიშვნების მინიჭებას საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში;
  - ✓ უზრუნველყოფენ უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ რეგისტრირებული ოქმებისა და შემოსული განცხადებების/საჩივრების რეაგირებისთვის განაწილებას როგორც თემატური დეპარტამენტისთვის, ასევე საქმე ყოველთვის ეწერება სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტს. მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება უშუალოდ გენდერის დეპარტამენტს, ვინაიდან შესაძლო უფლებადარღვევა განხორციელდა LGBT+ თემის წარმომადგენლის ან ქალი უფლებადამცველის მიმართ, საქმე ეწერება გენდერის დეპარტამენტს, ასევე აუცილებლად სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტსაც.
- <u>სტატისტიკის სამმართველო</u>
  - ✓ უზრუნველყოფს სტატისტიკის წარმოებას უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მუშავდება როგორც ერთიანი სახით, აგრეთვე უფლებადამცველთა სქესის, სხვადასხვა სახის უმცირესობებისადმი კუთვნილების (სექსუალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვ.) და იმ უფლებათა მიხედვით, რომელის დაცვასაც ახდენს კონკრეტული უფლებადამცველი.
- <u>სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი, გენდერის დეპარტამენტი, თანასწორობის დეპარტამენტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში სახალხო დამცველის მრჩეველი</u>
  - ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი უზრუნველყოფს უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის პროაქტიულად იდენტიფიცირებას, მათ შორის, მედია საშუალებების და სოციალური ქსელებისთვის თვალის მიდევნების გზით. აღნიშნული აქტივობა ხორციელდება აგრეთვე ტერიტორიული ორგანოების - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოების მიერ;
  - ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი, უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის პროაქტიულად იდენტიფიცირების შემთხვევაში, საქმისწარმოების დაწყების მიზნით, ახდენს მოხსენებითი ბარათის რეგისტრაციას საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. აღნიშნული აქტივობა ხორციელდება აგრეთვე ტერიტორიული ორგანოების - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოების მიერ;

- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახდენს უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის საქმეების შესწავლას და სათანადო რეაგირებას:
    - ითხოვს ინფორმაციას შესაბამისი უწყებებისგან საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტთან;
    - შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, წინადადებებსა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებული უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტთან;
    - საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოსთვის და საჭიროების შემთხვევაში, უწევს მას სამართლებრივ დახმარებას სამართალწარმოების განხორციელების მიზნით.
- ✓ უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის საქმეებზე რეაგირება ხორციელდება შესაბამისი დეპარტამენტის/მრჩეველს (რომელსაც თემატურად ეხება შესაძლო უფლებადარღვევის საკითხი) და სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის ურთიერთშეთანხმებითა და ურთიერთდახმარებით;
- ✓ შესაძლო უფლებადარღვევების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, ამყარებენ კომუნიკაციას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვაგვარ ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებებთან და ცალკეულ აქტივისტებთან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ახდენენ სათანადო საკომუნიკაციო საშუალებების/მექანიზმების იდენტიფიცირებას/დანერგვას;
- ✓ განხორციელებული მონიტორინგისა და საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილ მიგნებებს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ანალიტიკურ დეპარტამენტთან კოორდინაციით, ასახავს ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის შესაბამისი თავის პროექტში, მათ შორის, სხვა თემატური დეპარტამენტებისგან/მრჩევლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მათთან შეთანხმებით;
- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/დეპარტამენტები ან/და მრჩეველი ახდენს/ახდენენ უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიშების მომზადებას, მათ შორის, სხვა დეპარტამენტებისგან/მრჩეველისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მათთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ხორციელდება ერთობლივად, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში;
- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი ახდენს უფლებადამცველთა უფლებების დარღვევის თაობაზე საჯარო განცხადებების მომზადებას. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ხორციელდება ერთობლივად, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში;

- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი უზრუნველყოფს იმგვარი საკანონმდებლო ინიციატივებისა და კანონპროექტების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ უფლებადამცველების უფლებებზე და მათ საქმიანობაზე;
- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი/მრჩეველი უზრუნველყოფს უფლებადამცველთა დაცულობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ასევე მათთვის რეაგირების განხორციელების ან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართვას. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ხორციელდება ერთობლივად, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში;
- ✓ შესაბამისი თემატური დეპარტამენტი უზრუნველყოფს უფლებადამცველთა როლის, უფლებების და დაცულობის სტანდარტის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ხორციელდება ერთობლივად, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში.

- <u>ანალიტიკური დეპარტამენტი</u>
  - ✓ უზრუნველყოფს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტისა და შესაბამისი დეპარტამენტის (რომელსაც თემატურად ეხება ცალკეულ უფლებადამცველთა ჯგუფის საკითხი) ინფორმირებას იმგვარი საკანონმდებლო ინიციატივებისა და კანონპროექტების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ უფლებადამცველთა უფლებებზე და მათ საქმიანობაზე;
  - ✓ ახდენს უფლებადამცველების თაობაზე ანგარიშების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულების მიდევნებას და შესაბამის რეაგირებას.